ნესტან კუპრავა

რატომ გაიბუტა პატარა შუქნიშანი

კლასი III
კითხვის დონე – 3.2
ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

მხატვარი – **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

დიდ ქუჩაზე პატარა შუქნიშანი დააყენეს. ბეღურებს მისი დანახვა ძალიან გაუხარდათ. შუქნიშანს მაშინვე აქეთ-იქით შემოუსხდნენ: ვნახოთ, ერთი, რა ბიჭიაო.

გადიოდა დღეები. შუქნიშანი გულმოდგინედ ასრულებდა თავის საქმეს. მწვანე თვალს რომ გაახელდა, ავტომობილები მოძრაობას იწყებდნენ.



ყვითელი თვალით გამოანათებდა და ნელ-ნელა ჩერდებოდნენ. როგორც კი წითელ თვალს ააბრიალებდა, მანქანები ერთ ადგილას შეშდებოდნენ. ამ დროს ადამიანები ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ. მოკლედ, ყველა ისე იქცეოდა, როგორც შუქნიშანი ანიშნებდა. ამიტომაც დიდ ქუჩაზე სიმშვიდე იყო.

— ეს რა ყოფილა! მანქანებიც უჯერებენ, ადამიანებიც! — ამბობდნენ გაოცებული ბეღურები.

ერთხელ პატარა შუქნიშანს ძალიან აწყენინეს. მზიანი, მშვიდი დღე იდგა. გზის სავალი ნაწილი მანქანებით იყო სავსე. ერთი ხნიერი კაცი ტროტუარზე ძაღლს ასეირნებდა. უცებ ურჩი ძაღლი პატრონს გაექცა. მან გზაზე სწორედ იმ დროს გადაირბინა, როცა მანქანები დაძვრას აპირებდნენ. კიდევ კარგი, შუქნიშანმა ეს მაშინვე შენიშნა.

3

დახუჭული მწვანე თვალი არ გაახილა. ისევ წითელ თვალს აბრიალებდა და მანქანებს მოძრაობის უფლებას არ აძლევდა. ძაღლი გადარჩა. მსუბუქმა მანქანებმა საშინელი ყიჟინა ატეხეს.



ეგონათ, შუქნიშანს რაღაც შეეშალაო.
მათ სამარშრუტო ტაქსები აჰყვნენ.
დინჯი ავტობუსებიც კი გაუბრაზდნენ
შუქნიშანს.



— სულ შენი ბრალია ყველაფერი! — უყვიროდნენ მას.

შუქნიშანს უნდოდა მათთვის აეხსნა, რაც მოხდა, მაგრამ არავინ უსმენდა. ძალიან ეწყინა. გაიბუტა და სამივე თვალი ერთად დახუჭა. ქუჩაში უცებ დიდი უწესრიგობა დაიწყო. ისეთი აურზაური ატყდა, ბელურებს შეეშინდათ

და გაფრინდნენ. მანქანები ვერც წინ მიდიოდნენ, ვერც – უკან. ადამიანები ვეღარ ბედავდნენ ქუჩაზე გადასვლას. დიდი ავტობუსი სულაც გარდიგარდმო გაიხიდა. მოძრაობა საერთოდ შეჩერდა.

პატრულის მანქანა ძლივს შემოძვრა ამ ჭედვაში. მალე გაარკვია, რაც მოხდა და მანქანებს გასძახა:

– ვინ აწყენინა შუქნიშანს? ის არაფერ შუაშია. ყველაფერი ძაღლის გამო მოხდა!

მერე შუქნიშანს მიუბრუნდა:

— გთხოვ, დაგვეხმარე. რამე უბედურება არ დატრიალდეს!

დარცხვენილმა მანქანებმა შუქნიშანს ახედეს.

შუქნიშანმა მწვანე თვალი გაახილა. მანქანებმა მოძრაობა დაიწყეს. მწვანეს, როგორც ყოველთვის, ყვითელი მოჰყვა,



ყვითელს კი – წითელი. ქუჩაში მალე
მოწესრიგდა ყველაფერი. ბეღურებიც
მალე დაბრუნდნენ. შუქნიშანს
ისევ აქეთ-იქით შემოუსხდნენ და
აჟღურტულდნენ:

— მართლა კარგი ბიჭია ჩვენი შუქნიშანი!

— აბა რა, კარგ საქმესაც აკეთებს!

ურჩი ძაღლი დააჯარიმეს: მას ორი დღით აეკრძალა ქუჩაში სეირნობა. პატრონი კი გააფრთხილეს, სხვა დროს უფრო ყურადღებით ყოფილიყო.



გახდი წიგნის თანაავტორი, დაწერე მოთხრობის განსხვავებული დასასრული

. . . ერთხელ პატარა შუქნიშანს ძალიან აწყენინეს. მზიანი, მშვიდი დღე იდგა. გზის სავალი ნაწილი მანქანებით იყო სავსე. ერთი ხნიერი კაცი ტროტუარზე ძაღლს ასეირნებდა. უცებ ურჩი ძაღლი პატრონს გაექცა. მან გზაზე სწორედ იმ დროს გადაირბინა, როცა მანქანები დაძვრას აპირებდნენ. კიდევ კარგი, შუქნიშანმა ეს მაშინვე შენიშნა. დახუჭული მწვანე თვალი არ გაახილა. ისევ წითელ თვალს აბრიალებდა და მანქანებს მოძრაობის უფლებას არ აძლევდა. ძაღლი გადარჩა.

მსუბუქმა მანქანებმა საშინელი ყიჟინა ატეხეს. ეგონათ, შუქნიშანს რაღაც შეეშალაო. მათ სამარშრუტო ტაქსები აჰყვნენ. დინჯი ავტობუსებიც კი გაუბრაზდნენ შუქნიშანს.

— სულ შენი ბრალია ყველაფერი! — უყვიროდნენ მას.

შუქნიშანს უნდოდა მათთვის აეხსნა, რაც მოხდა, მაგრამ არავინ უსმენდა. ძალიან ეწყინა, თუმცა არ გაიბუტა. ცოტა ხანს კიდევ ჯიუტად აბრიალებდა წითელ თვალს. როცა დარწმუნდა, რომ ძაღლი ნამდვილად უსაფრთხოდ იყო, მერეღა გამოანათა მწვანედ...

როგორ ფიქრობ, რა მოხდა ამის შემდეგ?